

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

თბილისის განვითარების ფონდი

წესდება

ქ. თბილისი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სრული სახელწოდებაა: ქართულად: „თბილისის განვითარების ფონდი“ (შემდგომში - ფონდი); ინგლისურად: „Tbilis Development Fund“.

1.2 ფონდი წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, რომლის მიზანიც არ არის სამეწარმეო საქმიანობა. იგი იურიდიული პირის სტატუსს იძენს მისი სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან და წესდებით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებისას მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, სხვა საკანონმდებლო აქტების, წინამდებარე წესდებისა და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების საფუძველზე.

1.3 ფონდს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ბეჭედი საკუთარი სახელწოდებით, და საიდენტიფიკაციო ნომრით, განკერძოებული ქონება, საანგარიშსწორებო და სხვა სახის ანგარიშები (მათ შორის: სავალუტოც) საბანკო დაწესებულებებში.

1.4 ფონდი უფლებამოსილია მოქალაქეთა სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებებთან ერთად თანასწორობის საფუძველზე გაერთიანდეს კავშირში, საზოგადოებრივ მოძრაობებში, სამეცნიერო-ტექნიკურ და სხვა გაერთიანებებში.

1.5 ფონდს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით დააფუძნოს ფილიალები (წარმომადგენლობები), სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, აგრეთვე განახორციელოს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობა.

1.6 ფონდს შეუძლია ჰქონდეს პირდაპირი საერთაშორისო კონტაქტები სხვა ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, დადოს მათთან შესაბამისი შეთანხმებები, გარიგებები, ხელშეკრულებები, მემორანდუმები, მონაწილეობა მიიღოს იმ ღონისძიებების განხორციელებაში, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, ფონდის დამფუძნებლის მითითებებს, ამ წესდებას და მასში ასახულ მიზნებს.

1.7 ფონდის სამეურნეო წლად ითვლება კალენდარული წელი.

1.8 ფონდი დამოუკიდებელია თავისი დამფუძნებლების, ასევე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირების მდგომარეობისაგან და პასუხს არ აგებს მათი ვალდებულებებისათვის ისევე, როგორც ისინი პასუხს არ აგებენ ფონდის ვალდებულებებისათვის. ფონდის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მხოლოდ მისი ქონებით.

1.9 ფონდს საკუთრებაში აქვს განკერძოებული ქონება, რომელსაც განაგებს და მოიხმარს დანიშნულებისამებრ, თავისი მიზნების მისაღწევად. ფონდს უფლება აქვს იყოს მხარე გარიგებაში, შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, იკისროს ვალდებულებები, შეუძლია იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში ან არბიტრაჟში.

1.10 ფონდი იქმნება განუსაზღვრელი ვადით და მისი საქმიანობა ხორციელდება, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ.

1.11 ფონდის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, მძებნი ზუბალაშვილების ქ. N48. ელ.მისამართი info@tdf.ge

მუხლი 2.

ფონდის მიზანი, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები.

2.1 ფონდის მიზანია:

2.1.1 ქალაქ თბილისის ისტორიული იერსახის შენარჩუნებისა და უძრავი ქონების ღირებულების ზრდის ხელშეწყობა.

2.2 ფონდის საქმიანობის ძირითადი ამოცანებია:

2.2.1 ქალაქ თბილისში ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების/აღდგენის და უძრავი ქონების ღირებულების ზრდის გამოუყენებელი შესაძლებლობების გამოვლენა და სწორად პრიორიტეტიზაცია;

2.2.2 ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების/აღდგენის და უძრავი ქონების ღირებულების ზრდის შესაძლებლობების რეალიზაციის სწორად დაგეგმვა-პროექტირება;

2.2.3 ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების/აღდგენის და უძრავი ქონების ღირებულების ზრდის შესაძლებლობების რეალიზაციის პროექტების დროულად, ხარისხიანად და გონივრული დანახარჯების პირობებში განხორციელება.

2.2.4 რეაბილიტირებული არეალების, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების სწორი მოვლა-პატრონობის და განვითარების ხელშეწყობა

2.3 ფონდის ძირითადი ფუნქციებია:

2.3.1. ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისთვის და ქალაქის განვითარებისთვის საჭირო ყველა სახის კვლევითი და საპროექტო სამუშაოების ინიცირება, დაგეგმვა და განხორციელების ორგანიზება

2.3.2. ქალაქის ისტორიული და სხვა ნაწილების სისტემური განვითარების და მდგრადობის ამაღლებისთვის საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავება, შემუშავების ორგანიზება და შეთანხმება დამფუძნებელთან შემდგომი განხორციელების და დაფინანსების მოპოვების მიზნით

2.3.3. მსხვილი არეალების (ქუჩების, მოედნების, დასახლებული კვარტლების), ცალკეული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და მათი ნაწილების, ასევე ისტორიული სადარბაზოების, მუზეუმების, სარეკრეაციო ზონების და სხვადასხვა ისტორიული შინაარსის მატარებელი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-რესტავრაციის ან/და ახლიდან მოწყობის წინადადებების ინიცირება, არგუმენტირება, დაფინანსების მოძიების უზრუნველყოფა

2.3.4. მსხვილი არეალების (ქუჩების, მოედნების, დასახლებული კვარტლების), ცალკეული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და მათი ნაწილების, ასევე ისტორიული სადარბაზოების, მუზეუმების, სარეკრეაციო ზონების და სხვადასხვა ისტორიული შინაარსის მატარებელი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-რესტავრაციის ან/და ახლიდან მოწყობის პროექტების დაგეგმვა და განხორციელების ორგანიზება-კონტროლი

2.3.5. სხვადასხვა ტიპის ექსპერტიზების და ანალიტიკური დასკვნების მომზადების ინიცირება, არგუმენტირება და დაკვეთა, შესაბამისი პროექტების შესყიდვების ორგანიზება და ინფორმაციის დამუშავება-არქივაციის უზრუნველყოფა ქალაქის განვითარების მიზნებისთვის

2.3.6. მსხვილი არეალების (ქუჩების, მოედნების, დასახლებული უბნების ა.შ) სრული რეაბილიტაციის მიზნით, საინჟინრო-საკომუნიკაციო ქსელების რეაბილიტაციის საპროექტო გადაწყვეტილებების მომზადების ინიცირება, არგუმენტირება და შესყიდვების ორგანიზება, შესაბამისი ფიზიკური სამუშაოებისთვის დაფინანსების მოძიების უზრუნველყოფა და პროექტების განხორციელების ორგანიზება

2.3.7. მსხვილი არეალების (ქუჩების, მოედნების, დასახლებული უბნების ა.შ) და ქალაქის ცალკეული მონაკვეთების განვითარების ან/და რეაბილიტაციის პროექტების პარალელურად ყველა თანმდევი სამუშაოების იდენტიფიკაცია, შეფასება, პროექტირება, დაფინანსების მოძიების და განხორციელების ორგანიზება, ისეთების როგორც არის დროებითი გამაგრების, დემონტაჟის, ძეგლების დაშლა-გადაწყობის, დროებითი

ქსელების მოწყობის, დემონტაჟის და ახლიდან მოწყობის, ასევე მთლიანი ან ნაწილობრივ არელების კეთილმოწყობის სამუშაოების დაგეგმვა-განხორციელების უზრუნველყოფა

- 2.3.8. თბილისის რეაბილიტაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინსტიტუციური, ადმინისტრაციული რეფორმებისა და საკანონმდებლო ცვლილებების პროექტების შემუშავება სხვადასხვა სახელმწიფო, მუნიციპალურ და საზოგადოებრივ ინსტიტუციებს შორის კოორდინაციის გაძლიერების მიზნით
- 2.3.9. ქალაქის რეაბილიტაცია-განვითარების პროცესში კერძო ინვესტორების ჩართვის ხელშეწყობა და ამ მიზნით, საინვესტიციო ჯგუფებთან მოლაპარაკებების წარმოება და შესაბამისი შეთავაზებების მიწოდება, საინფორმაციო ბაზების და ვებ-გვერდების შექმნის ინიცირება და მათი მართვა-განახლება;
- 2.3.10. ძველი თბილისის კონსერვაციის გლობალური პროგრამის, ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაციის, რესტავრაციის, ადაპტაციის, ფიზიკური რესტავრაციის სახელმძღვანელო პრინციპებისა და ა.შ. შემუშავება და დანერგვის ხელშეწყობა;
- 2.3.11. პროფესიული კადრების განვითარებისათვის უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად კონსერვაციისა და მენეჯმენტის ტრენინგების სისტემის შექმნა;
- 2.3.12. რეაბილიტაციის პროცესში საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის ინტეგრირების უზრუნველყოფა;
- 2.3.13. ქალაქის განვითარების სტრატეგიაზე მუშაობის პროცესში არასამთავრობო სექტორთან, კერძო სააგენტოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მას-მედიასთან მჭიდრო თანამშრომლობის ორგანიზება, რეაბილიტაციისა და განვითარების პროცესებში აქტიური ჩართვის მიზნით;
- 2.3.14. საერთაშორისო ორგანიზაციების მაქსიმალური ჩართვის ხელშეწყობა რეაბილიტაციისა და განვითარების პროცესებში და მათთან კოორდინაციის უზრუნველყოფა;

2.4 საწესდებო მიზნის მისაღწევად ფონდი:

- 2.4.1 ზედამხედველობს და აკონტროლებს მის მიერ დაფინანსებული პროექტების განხორციელებას;
- 2.4.2 ქმნის და ადმინისტრირებას უკეთებს ფონდის საქმიანობის მონიტორინგისათვის აუცილებელ საინფორმაციო სისტემებს;
- 2.4.3 მართავს ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებით გამოყოფილ თანხებს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- 2.4.4 აფასებს და აკონტროლებს გარიგებების საფუძველზე ფონდის მიერ გამოყოფილი ფინანსური სახსრების ხარჯვას გარიგებაში მონაწილე პირების მიერ წარდგენილი ანგარიშების საფუძველზე;
- 2.4.5 იყენებს დადგენილი წესით ანგარიშზე ჩარიცხულ თანხებს სხვადასხვა პროექტების მიზნების მისაღწევად და კისრულობს ანგარიშვალდებულებას მათი გამოყენების მიზნობრიობაზე დამფუძნებლების ან/და კონკრეტული დამფინანსებლის წინაშე;
- 2.4.6 თანამშრომლობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სტრუქტურებთან პროექტით დადგენილი სამუშაოების სწორად წარმართვის მიზნით;
- 2.4.7 ფონდის საქმიანობის რეკლამირებისა და პროპაგანდის მიზნით თანამშრომლობს მასმედიასთან, აქტიურად იყენებს სხვადასხვა საინფორმაციო და სარეკლამო საშუალებებს;
- 2.4.8 კანონმდებლობით დადგენილი წესით ეწევა დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომელიც არ ცვლის მისი, როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხასიათს. ფონდის მიერ მიღებული მოგება რეინვესტირებული უნდა იქნეს ფონდის მიზნების, მისი განვითარებისა და სხვა აუცილებელი საქმიანობების განსახორციელებლად.
- 2.4.9 ფონდი ახორციელებს სხვა ნებისმიერი სახის საქმიანობას, რომელიც აკრძალული არ არის მოქმედი კანონმდებლობით.

- 2.4.10 საქმიანობას, რომლის განსახორციელებლად საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს სპეციალურ ნებართვას (ლიცენზირება, სერტიფიცირება), ფონდი წარმართავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სათანადო ნებართვის (ლიცენზიის, სერთიფიკატის) აღების შემდეგ.

მუხლი 3.

ფონდის დამფუძნებელი

3.1 ფონდი იქმნება დამფუძნებლის გადაწყვეტილებით.

3.2 ფონდის დამფუძნებელია:

3.2.1 ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახით (იურიდიული მისამართი – ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა N7).

მუხლი 4.

ფონდის დამფუძნებლების უფლებამოსილებანი

4.1 დამფუძნებლების უფლებამოსილებანი:

4.1.1 დაამტკიცოს ფონდის წესდება, შეიტანოს მასში ცვლილებები და დამატებები;

4.1.2 შეცვალოს ფონდის მიზანი, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები;

4.1.3 აირჩიოს და გამოიწვიოს ფონდის გამგეობის წევრები და გამგეობის თავმჯდომარე;

4.1.4 აირჩიოს და გამოიწვიოს ფონდის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი – ფონდის დირექტორი და განსაზღვროს მისი უფლებამოსილებები;

4.1.5 მოითხოვოს ყოველგვარი ინფორმაცია ფონდის ხელმძღვანელი ორგანოსა და პირებისაგან ფონდის საქმიანობის შესახებ;

4.1.6 მოისმინოს გამგეობის ფინანსური და სხვა ხასიათის ანგარიშები;

4.1.7 მიიღოს გადაწყვეტილება ფონდის ფილიალების (წარმომადგენლობების) დაფუძნების მათი რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის შესახებ;

4.1.8 მიიღოს გადაწყვეტილება ფონდის საქმიანობის შეჩერების, რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის თაობაზე;

4.1.9 შენატანის სახით გადასცეს ფონდს ქონება და მატერიალური/ფინანსური აქტივები ფონდის მიზნების განსახორციელებლად;

4.1.10 გადაწყვიტოს ყველა ის საკითხი, რომელიც ამ წესდებით არ განეკუთვნება გამგეობის ან ფონდის დირექტორის კომპეტენციას;

4.1.11 წესდების მეშვეობით განსაზღვროს ფონდის სამუშაო ქვედანაყოფების – სტრუქტურული ერთეულების დასახელებები, მათი ამოცანები, ფუნქციური დატვირთვა და სუბორდინაცია.”

მუხლი 5. ფონდის გამგეობა

- 5.1** ფონდის ხელმძღვანელი ორგანოა ფონდის გამგეობა, რომლის თავმჯდომარესა და წევრებს ირჩევს და გამოიწვევს ფონდის დამფუძნებელი.
- 5.2** გამგეობის სხდომები იმართება სამ თვეში ერთხელ მაინც ან საჭიროებისამებრ. სხდომა მოიწვევა ფონდის იურიდიულ მისამართზე, ან გამგეობის წევრებისათვის წინასწარ ცნობილ ნებისმიერ სხვა ადგილზე.
- 5.3** როგორც რიგგარეშე, ისე მიმდინარე სხდომა მოიწვევა ფონდის დირექტორის ან გამგეობის თავმჯდომარის მიერ, ასევე დამფუძნებლის მოთხოვნით. გამგეობის მორიგი ან რიგგარეშე სხდომა მოიწვევა სხდომის თარიღამდე არანაკლებ ხუთი დღით ადრე (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქმის გარემოებებიდან გამომდინარე აუცილებელია გამგეობის სხდომის დაუყოვნებლივ ჩატარება) გამგეობის წევრებისთვის შეტყობინების მიწოდების გზით. შეტყობინების მიწოდება შესაძლებელია დაზღვეული წერილით, ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით ან ინფორმაციის გადაცემის სხვა საშუალებით. შეტყობინებაში უნდა მიეთითოს სხდომის ჩატარების დღე, დრო, ადგილი და დღის წესრიგი.
- 5.4** შეტყობინების მიღებიდან სამი დღის ვადაში გამგეობის წევრს შეუძლია ცვლილებები შეიტანოს დღის წესრიგში. თუ ამ ვადაში ცვლილებები არ იქნება შეტანილი, დღის წესრიგი მიღებულად ჩაითვლება. სხვა შემთხვევაში დღის წესრიგში ცვლილება შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ გამგეობის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით.
- 5.5** სხდომის მოწვევა ამ მუხლით დადგენილი პროცედურების დარღვევით არ არის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების ბათილობის საფუძველი, თუ გამგეობის წევრი სხდომის დაწყებამდე არ განაცხადებს პროტესტს და მონაწილეობას მიიღებს მის მუშაობაში.
- 5.6** გამგეობის სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. თუ სხდომა არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ არაუადრეს სამი დღისა მოიწვევა ახალი სხდომა იგივე დღის წესრიგით. ამ წესით მოწვეული სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია გამოცხადებულ წევრთა მიუხედავად. იმ შემთხვევაში, თუ გამგეობის თავმჯდომარე არ ესწრება გამგეობის სხდომას, სხდომის დაწყებამდე გამგეობის წევრები ირჩევენ სხდომის თავმჯდომარეს, რომელიც შეასრულებს გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობებს. გამგეობის წევრების გარდა, გამგეობის სხდომას ესწრება ფონდის დირექტორი, რომელიც დღის წესრიგთან დაკავშირებულ საკითხებზე გამართულ კენჭისყრაში არ მონაწილეობს.
- 5.7** გამგეობა გადაწყვეტილებას იღებს გამგეობის სხდომაზე დამსწრე გამგეობის წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. თითო წევრს აქვს თითო ხმა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, უპირატესი ხმის უფლება აქვს გამგეობის თავმჯდომარეს/გამგეობის სხდომის თავმჯდომარეს.
- 5.8** სხდომის შესახებ დგება ოქმი, რომელშიც თანმიმდევრულ ასახვას ჰპოვებს სხდომაზე განხილული საკითხები და შესაბამისი გადაწყვეტილებანი. ოქმს ხელს აწერს გამგეობის თავმჯდომარე/სხდომის თავმჯდომარე და სხდომაზე დამსწრე გამგეობის წევრები. სხდომაზე დამსწრე განსახვავებული აზრის მქონე გამგეობის წევრის შენიშვნები და მოსაზრებები წერილობითი სახით დაერთვება სხდომის ოქმს.
- 5.9** გამგეობის წევრებს უფლება აქვთ გადაწყვეტილება მიიღონ სხდომის მოწვევის გარეშე, თუ დღის წესრიგით განსახილველი საკითხების მიმართ ყველა წევრი ერთად ან ცალ-ცალკე გამოხატავს თანხმობას კონფერენც-ტელეფონის ან კავშირგაბმულობის სხვა საშუალებით. ამ შემთხვევაში, აუცილებელია წინასწარ გამოხატული თანხმობის შემდგომში წერილობით გაფორმება შესაბამისი ოქმის ხელმოწერის გზით.
- 5.10** გამგეობის წევრები ვალდებული არიან ფონდის საქმეები წარმართონ კეთილსინდისიერად კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად და ფონდის წინაშე პასუხს აგებენ მათზე დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო წარმოშობილი ზიანისთვის. გამგეობის წევრების საქმიანობა ნებაყოფლობითია და არ ანაზღაურდება ფონდის სახსრებიდან.

5.11 გამგეობის წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში გამგეობის ახალ წევრს დაუყოვნებლივ ირჩევს დამფუძნებელი. ახლადარჩეული გამგეობის წევრი უფლებამოსილებას ახორციელებს უფლებამოსილებაშეწყვეტილი გამგეობის წევრის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

5.12 გამგეობა:

5.12.1 ამტკიცებს ფონდის დირექტორის მიერ შემუშავებულ ფონდის საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს, გეგმებს, მიზნობრივ პროგრამებსა და პროექტებს;

5.12.2 ამტკიცებს ფონდის მიერ დასაფინანსებელ ცალკეულ პროექტებს და აკონტროლებს მათ განხორციელებას;

5.12.3 შეიმუშავებს და წარუდგენს დამფუძნებელს რეკომენდაციებს ფონდის ფილიალების (წარმომადგენლობების) შექმნისა და მათი ლიკვიდაციის შესახებ;

5.12.4 იღებს გადაწყვეტილებას ფონდის მიერ იურიდიული პირების დაფუძნების შესახებ და ფონდის დირექტორის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს მათ ხელმძღვანელებს;

5.12.5 საჭიროებისამებრ, ფონდის დირექტორის წარდგინებით, შეიმუშავებს ფონდის, მისი სტრუქტურული ერთეულების, ფილიალების (წარმომადგენლობების) რეგლამენტს, შინაგანაწესს;

5.12.6 სარეკომენდაციო წერილით მიმართავს ფონდის გამგეობის იმ წევრს, რომლის საქმიანობაც ეწინააღმდეგება ფონდის მიზნებს ან რომელიც უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს;

5.12.7 წყვეტს ფონდის რეგისტრირებულ ორგანიზაციებში გაწევრიანების საკითხს.

მუხლი 6.

ფონდის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა.

ფონდის დირექტორი

6.1 ფონდის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებას ახორციელებს ფონდის დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ირჩევს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დამფუძნებელი.

6.2 ფონდის დირექტორი არ შედის ფონდის გამგეობაში, თუმცა, ფონდის დირექტორი ესწრება გამგეობის სხდომებს და წარუდგენს გამგეობის წევრებს დასამტკიცებელ საკითხებს.

6.3 ფონდის დირექტორი:

6.3.1 მოქმედებს ფონდის სახელით და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ;

6.3.2 ესწრება გამგეობის სხდომებს და იღებს შესაბამის დავალებებს გამგეობისაგან;

6.3.3 ფონდის სახელით დებს ხელშეკრულებებს, გარიგებებს, აწარმოებს მოლაპარაკებებსა და გასცემს მინდობილობებს.

6.3.4 გამგეობასთან ერთად ზედამხედველობს ფონდის ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალურ ქონების მართვას;

6.3.5 ხსნის და ხურავს ანგარიშებს საბანკო დაწესებულებებში, ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში, ხელს აწერს ფონდის საფინანსო და სხვა სახის ყველა ოფიციალურ დოკუმენტს;

6.3.6 უზრუნველყოფს ფონდის დამფუძნებლისა და გამგეობის გადაწყვეტილებების შესრულებას;

6.3.7 გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს აბარებს ფონდის გამგეობას ან დამფუძნებელს;

- 6.3.8** წარუდგენს გამგეობას განსახორციელებელი პროგრამების პროექტებს;
- 6.3.9** გამგეობის მიერ დამტკიცებულ პროექტებთან დაკავშირებით დებს მესამე პირებთან შესაბამის ხელშეკრულებებს ფონდის სახელით;
- 6.3.10** შრომითი ხელშეკრულების დადებითა და შეწყვეტით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ფონდის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებსა და სხვა თანამშრომლებს, განსაზღვრავს შრომის ანაზღაურების პირობებს, წყვეტს მათი გაცემის ან სხვაგვარი წახალისების ან თანამშრომლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს;
- 6.3.11** დამფუძნებლის თანხმობით განსაზღვრავს ფონდის საშტატო ნუსხასა და თანამდებობრივ სარგოებს და დანამატების ოდენობას;
- 6.3.12** დამფუძნებლებს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშებს ფონდის საქმიანობის მდგომარეობისა და გაწეული სამუშაოს შესახებ;
- 6.3.13** გამგეობის მიერ მინიჭებული უფლებების ფარგლებში ახორციელებს სხვა საქმიანობას.
- 6.3.14** დამფუძნებელთან შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებებს ფონდის მიერ უძრავი ქონების შეძენასთან, განკარგავსთან ან/და უფლებრივ დატვირთვასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 6.4** ფონდის დირექტორის ხელფასის ოდენობა განისაზღვრება გამგეობის მიერ.
- 6.5** ფონდის დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან თანამდებობიდან ვადამდე გადადგომის შემთხვევაში, მის ფუნქციებს, გამგეობის გადაწყვეტილებით, ასრულებს დირექტორის ერთერთი მოადგილე, დამფუძნებლის მიერ ფონდის ახალი დირექტორის არჩევამდე.
- 6.6** ფონდის დირექტორს უფლება არა აქვს ეწეოდეს ისეთ საქმიანობას, რომელიც ხელს უშლის ამ წესდებით გათვალისწინებულ მის უფლებამოსილებათა განხორციელებას ინტერესთა კონფლიქტის გამო.
- 6.7** ფონდის დირექტორი ფონდის საქმეებს უნდა უძღვებოდეს კეთილსინდისიერად.
- 6.8** ფონდის დირექტორს ჰყავს 4 (ოთხი) მოადგილე, რომელებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ფონდის დირექტორი, საკუთარი ბრძანებით, ასევე განსაზღვრავს დირექტორის მოადგილეების უფლებამოსილებებს.

მუხლი 7.

ფონდის სტრუქტურული ერთეულები და ფუნქციები

- 7.1** ფონდის სტრუქტურული ერთეულებია:
- 7.1.1** კვლევების და ანალიზის სამსახური;
- 7.1.2** საფინანსო-ეკონომიკური სამსახური;
- 7.1.3** პროექტირების სამსახური;
- 7.1.4** სანებართვო უზრუნველყოფის სამსახური;
- 7.1.5** იურიდიული სამსახური;
- 7.1.6** მესაკუთრეებთან ურთიერთობის სამსახური;
- 7.1.7** პროექტების დაგეგმვის და მართვის სამსახური;

- 7.1.8 სტორიულ-კულტურული ძეგლების რეაბილიტაციის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
- 7.1.9 სამოქალაქო და ინფრასტრუქტურული მშენებლობის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
- 7.1.10 სამშენებლო ბაზრის კვლევის და საპროექტო-სამშენებლო მომსახურების შესყიდვების სამსახური;
- 7.1.11 რეაბილიტირებული არელების მართვა-მონიტორინგის სამსახური.

7.2 კვლევებისა და ანალიზის სამსახური უზრუნველყოფს:

- 7.2.1 უძრავი ქონების გამოყენების აქტუალური მიმართულებების და შესაძლებლობების გამოვლენას, რომლებიც მოთხოვნადი იქნება საშუალო და გრძელვადიან პერიოდში ქალაქის განვითარების თვალსაზრისით.
- 7.2.2 უძრავი ქონების აქტუალური და პერსპექტიული გამოყენების მიმართულებების მიხედვით, თბილისში უძრავი ქონების ღირებულების ზრდის შესაძლებლობების იდენტიფიცირების მიზნით, სხვადასხვა ტიპის კვლევების და გამოკითხვების დაგეგმვას;
- 7.2.3 უძრავი ქონების ღირებულების ზრდის მიზნით, სხვადასხვა არელების, ქუჩების და მიკროუბნების განვითარების კონცეფციების დამუშავება ან/და დამუშავების ორგანიზებას;
- 7.2.4 ინფორმაციის მოძიება ქალაქ თბილისის ამა თუ იმ უბანში უძრავი ქონების ღირებულების ზრდის შესაძლებლობების შესახებ - სხვადასხვა ტიპის გამოკითხვების ჩატარება, სტატისტიკური მონაცემების მოძიება, დამუშავება და ანალიზი;
- 7.2.5 უძრავი ქონების ღირებულების ზრდის მიზნით, სხვადასხვა არელების, ქუჩების და მიკროუბნების განვითარების კონცეფციების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებების მომზადება ან/და მომზადების ორგანიზებას;
- 7.2.6 ფონდის საქმიანობის მიხედვით, შესაძლო დამფინანსებლების (დონორების და ინვესტორების) შესახებ ინფორმაციის კვლევას ბაზების ფორმირებას და მისი რეგულარულ განახლებას;
- 7.2.7 პოტენციური დამფინანსებლების ინტერესების კვლევას და მათთან თანამშრომლობის საშუალო და გრძელვადიანი მიდგომების ჩამოყალიბებას;
- 7.2.8 ფონდის საინვესტიციო შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზაციის მიზნით ფონდის საინვესტიციო ვებ-გვერდის ფორმირებას, მართვა და განვითარებას;
- 7.2.9 ფორმატების შესაბამისად ფონდში ინფორმაციის მომზადება და მომზადების გარე სამუშაოების ორგანიზება.

7.3 საფინანსო-ეკონომიკური სამსახური უზრუნველყოფს:

- 7.3.1 ბიუჯეტის ფორმირების პროცესის ორგანიზებასა და კოორდინაციას;
- 7.3.2 ფონდის ერთიანი ბიუჯეტის შედგენას და დაგეგმილი ბიუჯეტიდან მოსალოდნელი კორექტირების აუცილებლობის კონტროლს;
- 7.3.3 ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ტრანზაქციების წარმოებას;
- 7.3.4 ფონდის წინაშე არსებული და მოსალოდნელი ფინანსური რისკების იდენტიფიცირებას და პრევენციის მიზნით ღონისძიებების დეგეგმვას და ორგანიზებას;

- 7.3.5** მიზნობრივი ანგარიშსწორების მიზნით ფორმა N2-ების თავდაპირველ გეგმასთან შესაბამისობის კონტროლს;
- 7.3.6** ფონდის საქმიანობის სამეურნეო-ტექნიკურ მხარდაჭერას;
- 7.3.7** ფონდის არსებული სატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე მოვლა-პატრონობისთვის და საწვავით უზრუნველყოფისთვის შესაბამისი წლიური და საშუალოვადიანი გეგმების მომზადებას;
- 7.3.8** სატრანსპორტო საშუალებების მოვლის და საწვავით უზრუნველყოფისთვის შესაბამისი შესყიდვების პროცედურების დროულად და სწორად ჩატარების უზრუნველყოფას.

7.4 პროექტების სამსახური უზრუნველყოფა:

- 7.4.1** განსახორციელებელი პროექტების სპეციფიკიდან გამომდინარე პროექტების მიდგომების განსაზღვრას და სამუშაო გეგმის შემუშავებას, ქონების ღირებულების ზრდის და მისი გამოყენების საუკეთესო შესაძლებლობების ძიების მიზნით;
- 7.4.2** საპროექტო დავალების მომზადებას, დავალების მოსამზადებელი წინასწარი სამუშაოების ჩატარებას, განხორციელებასთან დაკავშირებული საფრთხეების იდენტიფიცირებას და პრევენციის დაგეგმვას, საპროექტო დავალებებში ძირითადი მოთხოვნების განსაზღვრას საპროექტო ორგანიზაციის შერჩევის მიზნით;
- 7.4.3** მიმდინარე საპროექტო სამუშაოების მონიტორინგს და სწორ კონტროლს. საჭიროების შემთხვევაში ხელშეკრულების უზრუნველყოფის საშუალებების დასაბუთებულ გამოყენებას.
- 7.4.4** დასრულებული პროექტის საპროექტო დავალებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან სრული შესაბამისობის ინსპექტირებას, პროექტის მიღებას, შემსრულებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას;

7.5 სანებართვო უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფა:

- 7.5.1** დაგეგმილი პროექტების სანებართვო დოკუმენტაციის მომზადების პროცესის სწორად დაგეგმვას და მართვას;
- 7.5.2** ვალიდური და პროექტის შეთანხმებისთვის საჭირო სანებართვო დოკუმენტაციის სრული პაკეტის მომზადებას;
- 7.5.3** სრული პაკეტის მომზადებისთვის სათანადო კორესპოდენციის და მოლაპარაკებების წარმოებას შესაბამის სანებართვო ორგანოებთან;
- 7.5.4** სამშენებლო დოკუმენტაციის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში შეთანხმებას;

7.6 იურიდიული სამსახური უზრუნველყოფა:

- 7.6.1** ფონდის საქმიანობის საშუალო და გრძელვადიანი გეგმების და არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების მუდმივ ანალიზს ფონდის საქმიანობის ხელისშემშლელი მოთხოვნების იდენტიფიცირების მიზნით;
- 7.6.2** სხვადასხვა ზემდგომ უწყებებში საკანონმდებლო და სხვა - ფონდის საქმიანობის მარეგულირებელი მოთხოვნების შინაარსებში ცვლილებების განხორციელებისთვის შეხვედრების, საკითხების დაყენების და განხილვების ორგანიზებას, ასევე საინფორმაციო მხარდაჭერას;
- 7.6.3** ფონდის მარეგულირებელ შიდა მოთხოვნების ამსახველ დოკუმენტაციაში, სათანადო საკანონმდებლო მოთხოვნების და სხვა ნორმების არსებობის უზრუნველყოფას და მათი მუდმივ ცვლილება-განვითარებას მიმდინარე პროცესების მიხედვით;

7.6.4 იურიდიული რისკების პრევენციის მექანიზმების შემუშავებას, დანერგვის ორგანიზებას და ფონდში გამოვლენილ იურიდიულ რისკებზე ადეკვატური და სწრაფი, შედეგიანი რეაგირების გეგმების არსებობის უზრუნველყოფას;

7.6.5 ფონდის ინტერესების დაცვის უზრუნველყოფას, როგორც სასამართლო პროცესებში და იურიდიულ დავებში, ისე მოლაპარაკებებში და რთულ სიტუაციებში, ფონდის საქმიანობიდან გამომდინარე;

7.6.6 იურიდიული რისკების პრევენციის მექანიზმების შემუშავება/ დანერგვის ორგანიზებას და ფონდში გამოვლენილ იურიდიულ რისკებზე ადეკვატური და სწრაფი, შედეგიანი რეაგირების გეგმების არსებობის უზრუნველყოფას;

7.6.7 ფონდის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების და სხვა აქტივების ფონდის სახელზე რეგისტრაციის პროცესის ორგანიზებას.

7.7 მესაკუთრებთან ურთიერთობის სამსახური უზრუნველყოფს:

7.7.1 განსახორციელებელი პროექტების დაგეგმვის ეტაპზე მესაკუთრებთან/მოსახლეობასთან ურთიერთობის მიდგომების განსაზღვრას და სამუშაო გეგმის შემუშავებას;

7.7.2 პროექტის დადგეგმვის ეტაპზე მესაკუთრების იდენტიფიცირებას მათთან შეხვედრების ორგანიზებას და მათთვის განსახორციელებელი პროექტის შესახებ სრული და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებას;

7.7.3 დაგეგმილ, სარეაბილიტაციო და სხვა სახის ღონისძიებებში ჩართული მესაკუთრების აღრიცხვა, საინფორმაციო ბაზების შექმნას და შესაბამისი სამსახურებისათვის მიწოდებას;

7.7.4 მოქალაქეთა ყოველკვირეული შეხვედრების ორგანიზებას მოსახლეობის პრობლემების და ფონდის პასუხისმგებლობაში შემავალი საკითხების გადაჭრაში უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულების ჩართულობას;

7.7.5 მესაკუთრების ალტერნატიულ თავშესაფარში გადაყვანის სამუშაოების დაგეგმვას და ორგანიზებას, მესაკუთრებთა შეთანხმებების (ხელშეკრულებების) მომზადებას და მის გაცნობას.

7.8 პროექტების დაგეგმვის და მართვის სამსახური უზრუნველყოფს:

7.8.1 მზა არქიტექტურული პროექტების დეტალურ შესწავლას მათი განხორციელებისთვის სწორ, რელევანტურ და ეფექტიანი გეგმის შემუშავებას;

7.8.2 პროექტების განხორციელების სამოქმედო გეგმების მომზადებას და პროექტის მიმდინარეობის პროცესის ანალიზს;

7.8.3 შემსრულებლის დეტალური მონიტორინგს დროით ჭრილში პროექტების მართვის მათთან წინასწარ შეთანხმებული გეგმის მიხედვით და მათ მოქმედებებში გეგმებიდან დროითი გადახვევების, დავიანებების და შეფერხებების გამოვლენას;

7.8.4 პროექტების განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფის პროცესის კოორდინაციას გეგმებში წინასწარ მითითებული თარიღების მიხედვით (ფორმა 2-ების წარმოდგენის, მათი შემოწმების და ანაზღაურების პროცესის კოორდინაცია ხარისხის ზედამხედველობის სამსახურებთან შესრულებით);

7.8.5 პროექტების მართვის სქემის მიხედვით, პროექტების მართვის მეთოდოლოგიის დამუშავებას და დანერგვის გეგმის პროცესის ორგანიზებას ფონდში.

7.9 ისტორიულ-კულტურული ძეგლების რეაბილიტაციის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს:

7.9.1 ძეგლების რეაბილიტაციაზე დაგეგმილი პროექტებისთვის სწორი შემსრულებლების მოძიებისთვის პროექტების წინასწარ შესწავლას და შემსრულებლების მიმართ ადეკვატური, სრული და სწორი მოთხოვნების ჩამოყალიბებას;

7.9.2 მოძიებულ (ტენდერში გამარჯვებულ) შემსრულებელთან ერთად, პროექტის გენერალური გეგმის დაზუსტება-დეტალიზაციას ხარისხის კონტროლის მიდგომების განსაზღვრა-შეთანხმებას პროექტების დაგეგმვის სამსახურთან ერთად;

7.9.3 გეგმის მიხედვით სამშენებლო სამუშაოების მონიტორინგს და მონიტორინგის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაციის, ასევე ვიზუალური და ელექტრონული მასალების მომზადებას, არქივაციას და მართვას;

7.9.4 ფარული სამუშაოების წარმოების ზედამხედველობას, შესაბამისი აქტების მომზადებას და სამშენებლო სამუშაოსათვის გამოყენებული მასალების ხარისხის კონტროლს;

7.9.5 შესრულებული სამუშაოს შემოწმებას და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად ფორმა N2 დამუშავებას, შემსრულებელთან სწორი ანგარიშსწორების უზრუნველყოფას საფინანსო სამსახურთან ერთად;

7.9.6 ხარისხის კონტროლის საინფორმაციო ბაზის ფორმირებას და მართვას თითოეული პროექტის მიხედვით (მთელი დოკუმენტაცია, მასალების ნიმუშები, ფოტოები, პროექტები და ა.შ.);

7.9.7 დასრულებული ობიექტების შესახებ საპასპორტო მონაცემების ამსახველი დოკუმენტაციის მომზადებას, ექსპლუატაციაში სწორად შეყვანას და აუცილებლობის შემთხვევაში, სამომავლოდ კონსულტაციების წარმოება ძეგლის სწორი ექსპლუატაციის ხელშეწყობისთვის.

7.10 სამოქალაქო და ინფრასტრუქტურული მშენებლობის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს:

7.10.1 დაგეგმილი პროექტებისთვის სწორი შემსრულებლების მოძიებისთვის პროექტების წინასწარ შესწავლას და შემსრულებლების მიმართ ადეკვატური, სრული და სწორი მოთხოვნების ჩამოყალიბებას;

7.10.2 მოძიებულ (ტენდერში გამარჯვებულ) შემსრულებელთან ერთად, პროექტის გენერალური გეგმის დაზუსტება-დეტალიზაციას ხარისხის კონტროლის მიდგომების განსაზღვრა-შეთანხმებას პროექტების დაგეგმვის სამსახურთან ერთად;

7.10.3 გეგმის მიხედვით სამშენებლო სამუშაოების მონიტორინგს და მონიტორინგის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაციის, ასევე ვიზუალური და ელექტრონული მასალების მომზადებას, არქივაციას და მართვას;

7.10.4 ფარული სამუშაოების წარმოების ზედამხედველობას, შესაბამისი აქტების მომზადებას და სამშენებლო სამუშაოსათვის გამოყენებული მასალების ხარისხის კონტროლს;

7.10.5 შესრულებული სამუშაოს შემოწმებას და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად ფორმა N2 დამუშავებას, შემსრულებელთან სწორი ანგარიშსწორების უზრუნველყოფას საფინანსო სამსახურთან ერთად;

7.10.6 ხარისხის კონტროლის საინფორმაციო ბაზის ფორმირებას და მართვას თითოეული პროექტის მიხედვით (მთელი დოკუმენტაცია, მასალების ნიმუშები, ფოტოები, პროექტები და ა.შ.);

7.10.7 დასრულებული ობიექტების შესახებ საპასპორტო მონაცემების ამსახველი დოკუმენტაციის მომზადებას, ექსპლუატაციაში სწორად შეყვანას.

7.11 სამშენებლო ბაზრის კვლევის და საპროექტო-სამშენებლო მომსახურების შესყიდვების სამსახური უზრუნველყოფს:

7.11.1 ფონდის კვლევითი, საპროექტო და სამშენებლო სერვისებით უზრუნველყოფის საჭიროებების იდენტიფიკაციას წლიურ და მიმდინარე ჭრილში;

7.11.2 კვლევითი, საპროექტო და სამშენებლო სერვისების ბაზრების კვლევის მიდგომების შემუშავებას;

7.11.3 კვლევითი, საპროექტო და სამშენებლო სერვისების შესწავლისთვის აუცილებელი ინფორმაციის პერმანენტულ მობილიზაციას და შესაბამის საინფორმაციო ბაზების წარმოების უზრუნველყოფას ფონდში;

7.11.4 სერვისების პოტენციური პროვაიდერების შესახებ არსებული საინფორმაციო ბაზების მუდმივ განახლებას ინფორმაციის აქტუალურობის უზრუნველყოფის მიზნით

7.11.5 წლიური და მიმდინარე კვლევითი, საპროექტო, სამშენებლო სერვისების შესყიდვების მოთხოვნების მიხედვით, კონკრეტული შესყიდვების დაგეგმვას;

7.11.6 საინფორმაციო ბაზების მიხედვით პოტენციური შემსრულებლების სწორად იდენტიფიკაციას და მათი წინასწარი ინფორმირებას შესყიდვების პროცედურებში მაღალი ჩართულობის და შესაბამისი ეფექტის მიღებისთვის;

7.11.7 შესყიდვების პროცედურების კანონმდებლობასთან შესაბამისად და სწორად ორგანიზებას საჭირო დროში;

7.11.8 შესყიდვებში არსებული რისკების წინასწარ იდენტიფიკაციას მათი მიმდინარე და სისტემური დაზღვევის მიზნით, შიდა პროცედურების გააზრებას, დანერგვას და ცვლილების უზრუნველყოფას;

7.11.9 შესყიდვების შიდა პროცედურების მიხედვით სწორად და დროულად წარმოებას შესაბამისი გადაწყვეტილებების დოკუმენტირების და არქივაცია-აღრიცხვის გზით;

7.11.10 კვლევითი, საპროექტო და სამშენებლო სერვისების და პროდუქტების სიახლეების შესახებ ინფორმაციის მუდმივ მობილიზაციას, ანალიზს და ფონდის სხვადასხვა სამსახურების ინფორმირებას პრაქტიკაში დანერგვის მიზნით.

7.12 რეაბილიტირებული არეალების მონიტორინგის სამსახური უზრუნველყოფს:

7.12.1 რეაბილიტირებული არეალების, ძეგლების და ინფრასტრუქტურის მონიტორინგის მიდგომების დამუშავებას;

7.12.2 რეაგირების მიმართულებების განსაზღვრას და ინფორმაციის მიწოდებას რეაგირებისთვის როგორც ფონდის შიგნით საგარანტიო ვადების პირობებში ისე სხვადასხვა სამსახურებისთვის მერიის ფარგლებში, ასევე კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის;

7.12.3 დაზიანებების, დარღვევების და შეუსაბამობების ფაქტების აღმოფხვრის კონტროლს, საჭიროების შემთხვევაში დროული რეაგირების უზრუნველყოფას;

7.12.4 რეაბილიტირებულ არეალებში ახალი ან/და დამატებითი სამშენებლო ნებართვების საჭიროების მხარდაჭერას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებში;

7.12.5 ფონდის ბაზაზე რეაბილიტირებული არეალების მოვლა-პატრონობისთვის აუცილებელი მომსახურებების იდენტიფიკაციას წლის განმავლობაში და ყოველწლიურად რეაბილიტირებული არეალების სწორი მოვლა-პატრონობისთვის საჭირო მომსახურებების შესყიდვებისთვის საჭირო ბიუჯეტის განსაზღვრას;

7.12.6 ყოველწლიურად რეაბილიტირებული არეალების სწორი მოვლა-პატრონობისთვის საჭირო მომსახურებების შესყიდვების ორგანიზებას ფონდის შესაბამისი სამსახურების ჩართულობით და შესყიდული სერვისების სწორად მართვას;

7.12.7 საგარანტიო პირობების დარღვევების დროულ და სრულ იდენტიფიკაციას ფონდის მიერ რეაბილიტირებული არეალების მიხედვით ყოველთვიურ, კვარტალურ და წლიურ ჭრილში

მუხლი 8.

ფონდის ქონება, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა

8.1. ფონდის ქონებას შეადგენს ძირითადი, საბრუნავი საშუალებები და სხვა ფასეულობანი, რომლებიც ასახულია მის დამოუკიდებელ ბალანსში და საჭიროა ამ წესდებით გათვალისწინებული მისი საქმიანობის მატერიალური უზრუნველყოფისათვის.

8.2. კანონით დადგენილი წესით ფონდის სახსრები იქმნება:

8.2.1. დამფუძნებლის ქონებრივი და ფინანსური შენატანებით/შემოწირულობებით;

8.2.2. საკუთარი დამხმარე სამეწარმეო საქმიანობით, მისი საწარმოებისა და ორგანიზაციებიდან მიღებული შემოსავლებით;

8.2.3. ადგილობრივი და უცხოელი იურიდიული და ფიზიკური პირების უსასყიდლო და საქველმოქმედო შემოწირულობებით;

8.2.4. გრანტებით;

8.2.5. კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩატარებული სხვადასხვა ღონისძიებებიდან მიღებული შემოსავლებით;

8.2.6. სხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავლებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან მოქმედ კანონმდებლობას.

8.3. ფონდს შეუძლია საკუთრებაში ჰქონდეს შენობა-ნაგებობანი, სატრანსპორტო საშუალებები, ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები, საცხოვრებელი ფონდი-მოწყობილობა, ინვენტარი და სხვა ქონება, რაც აკრძალული არ არის მოქმედი კანონმდებლობით.

8.4. საკუთარი მიზნების მისაღწევად ფონდს უფლება აქვს განახორციელოს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობა, დააფუძნოს საწარმოები და სამეურნეო ანგარიშიანი ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობიდან მიღებული მოგება გამოიყენება მხოლოდ საწესდებო მიზნების მისაღწევად, მისი განაწილება ფონდის დამფუძნებლებს და გამგეობის წევრებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის არ დაიშვება.

8.5. ფონდის გამგეობას და ფონდის დირექტორს აკისრია პასუხისმგებლობა უზრუნველყონ ფონდის ფულადი სახსრების მიზნობრივი განკარგვა და ქონების დაცვა.

8.6. ფონდი თავის ქონებას და სახსრებს ფლობს, იყენებს და განკარგავს წესდებით დადგენილი მიზნების შესაბამისად. ქონების გასხვისება შესაძლებელია დამფუძნებლის ან/და გამგეობის გადაწყვეტილებით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ იგი ხელს უწყობს მის ორგანიზაციულ განვითარებას, მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო საქმიანობას.

მუხლი 9.

ფონდის წესდების მოქმედების, გადასინჯვის, გაუქმების და მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესები

9.1. ფონდის წესდება მოქმედებს ფონდის საქმიანობის ყველა სფეროში, მისი დაცვა სავალდებულოა დამფუძნებლისა და ყველა ხელმძღვანელი პირისთვის.

9.2. წესდების გადასინჯვა, მასში ცვლილებების და დამატებების შეტანა ფონდის დამფუძნებლის პრეროგატივაა.

მუხლი 10.

ფონდის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

10.1. ფონდის რეორგანიზაცია (შეერთება, მიერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით დამფუძნებლის გადაწყვეტილებით.

10.2. ფონდის ლიკვიდაცია ხდება:

10.2.1. დამფუძნებლის ინიციატივით და გადაწყვეტილებით;

10.2.2. რეგისტრაციის გაუქმებისას;

10.2.3. კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.3. ლიკვიდაციას ახორციელებს ფონდის დირექტორი. განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობისას, დამფუძნებელს ან შესაბამის სასამართლოს შეუძლია სხვა ლიკვიდატორის დანიშვნა. ლიკვიდატორები პასუხს აგებენ, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები.

10.4. ლიკვიდაციის შემთხვევაში უნდა დამთავრდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები. დარჩენილი ქონება და სხვა აქტივები დამფუძნებლის გადაწყვეტილებით გადაეცემა ანალოგიური ან მსგავსი საქმიანობით დაკავაბულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

10.5. ფონდის ლიკვიდაციისას ქონება შეიძლება გასხვისდეს, თუ ეს ხელს უწყობს ფონდის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.